ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 181

“26” აპრილი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გამზირი ალ. ყაზბეგი, № 7-ის მიმდებარედ არსებული 23 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.10.14.012.029) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „კანაპესთვის“ (საიდენტიფიკაციო № 205178635) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N7-ის მიმდებარედ, 23 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.012.029) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესთვის“ (ს/ნ 205178635) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 აპრილის № 24.641.731 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, გამზირი ალ. ყაზბეგი, № 7-ის მიმდებარედ არსებული 23 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.10.14.012.029), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „კანაპესთვის“ (საიდენტიფიკაციო № 205178635) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5 520 (ხუთი ათას ხუთას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე